ოქმი:**ო63. 6324025001**
თარიღი:**25/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 2

ქ. სამტრედია. 18 იანვარი, 2024 წელი.

2024 წლის 18 იანვარს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, ნათია იობაძე.

4. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბეჟან გეგეშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

   /მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ. ლეჟავა/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარე, ტ.დვალიშვილი/

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაწილების ბიუროს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების ჩატარების 2024 წლის გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

8. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N g-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი/

15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ. ლეჟავა/

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მ.სირბილაძე/

18. **სხვადასხვა**

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმა. (18.01.2024 წლის N63-63240164 მოხსენებითი ბარათი, ოქმს თან ერთვის).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ, სადაც მუხლობრივად და დეტალურად იქნა განხილული სამუშაო გეგმის ყველა პუნქტი. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა. (16.01.2024 წლის N63-63240165 მოხსენებითი ბარათი, ოქმს თან ერთვის).

საკითხი განიხილა განათლების, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა (17.01.2024 წლის N63-63240173 მოხსენებითი ბარათი, ოქმს თან ერთვის).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მინდა გამოვყო საკვანძო საკითხი, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული. კერძოდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში იგეგმება მასშტაბური პროექტი, რომელიც შეეხება წყალ-კანალიზაციის სისტემის სრულ რეაბილიტაციას. სამუშაოები ერთდროულად დაიწყება რამდენიმე ადგილას. საჭიროა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, შ.პ.ს. ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' მიერ, განსახორციელებელი მასშტაბური ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მონიტორინგი და მოსახლეობისთვის სამუშაოების ირგვლივ ინფორმაციული სახის შეხვედრების მოწყობა. ეს გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნის მოსახლეობას, თუმცა ჩვენ უნდა შევეცადოთ მოსახლეობას განუმარტოთ ამ პროექტის უნიკალური და უდიდესი დადებითი შედეგები.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა. (16.01.2024 წლის N63-63240166 მოხსენებითი ბარათი, ოქმს თან ერთვის).

საკითხი განიხილა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გიორგი ლეჟავამ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა. (16.01.2024 წლის N63-63240163 მოხსენებითი ბარათი, ოქმს თან ერთვის).

საკითხი განიხილა საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, გადაწყვეტილების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ. (16.01.2024 წლის N63-63240162 მოხსენებითი ბარათი, ოქმს თან ერთვის).

საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' სხდომაზე. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, განაწილების ბიუროს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების ჩატარების 2024 წლის გრაფიკი.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ.

ნუგზარ ჯამბურია - წარმოდგენილია საკრებულოს, განაწილების ბიუროსა და ბიუროს სხდომების ჩატარების გრაფიკი. აღნიშნული გრაფიკი საჭიროა იმისათვის, რომ საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხები დროულად იქნას შემოსული მუნიციპალიტეტის მერიიდან, რათა ჯერ განაწილდეს ბიუროს სხდომაზე, შემდეგ გადაეწეროს, შესწავლისა და განხილვის მიზნით, დარგობრივ კომისიებს და ამის შემდეგ განიხილოს ბიურომ და საკრებულომ. ეს არის რიგითი სხდომებისათვის, ხოლო რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად. დამტკიცებული გრაფიკი მიეწოდოს მერიის შესაბამის სამსახურებს და ა.(ა).ი.პ.-ების ხელმძღვანელებს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით) დამტკიცდა გადაწყვეტილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაწილების ბიუროს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების ჩატარების 2024 წლის გრაფიკის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 იანვრის*** N : 62-622401531 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოგზავნილი N62-6223342137 (08/12/2023) წერილის ნაცვლად, საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის სხდომაზე, განხილული და დამტკიცებული იქნა N 62-622331975 (15/11/2023) წერილობითი მომართვით გადმოგზავნილი განკარგულების პროექტი, ,,მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ''. რის გამოც, საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

- მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტში მე-11 მუხლის 1-ლ პუნქტში ,,ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას, სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა და გარდაცვლილ ოჯახის წევრთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება'', გაიზარდა 100 ლარით და ნაცვლად 200 ლარისა განისაზღვრა 300 ლარის ოდენობით.

- განსაკუთრებულ შემთხვევაში მოქალაქის ბინის ქირით უზრუნველყოფა გაიზარდა და გახდა 300 ლარი.

წარმოდგენილი ცვლილება ასახული არ ყოფილა, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, სოციალური სამსახურის პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება სოციალურ პროგრამაში.

საკითხი ერთობლივად განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებმა. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის***

2023 წლის 25 დეკემბრის N :62-6223359119 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის, საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების შესახებ, გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების (განაცხადის №:48058EKA92435523 აუქციონის №:48058 ლოტის №:924355, დაწყება/დასრულება 07.09.2023-15.09.2023, განაცხადის №:48058EKA93762423 აუქციონის №:48058 ლოტის №:937624, დაწყება/ დასრულება 01.11.2023-09.11.2023 და განაცხადის №:48058EKA94808623 აუქციონის №:48058 ლოტის №:948086, დაწყება/დასრულება 12.12.2023-20.12.2023) შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტით, განმეორებითი აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა და ამ ქონების აუქციონზე გატანა ხდება შეცვლილი პირობებით და ფასით, ხოლო მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ არ მოხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით გატანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ეს ქონება შესაძლებელია, გატანილ იქნას საპრივატიზებოდ ელექტრონულ აუქციონზე, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება განმეორებით ელექტრონულ აუქციონად. განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეიძლება შემცირდეს 50%-მდე. თუ მუნიციპალიტეტის ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს, საკრებულომ განიხილოს და დაამტკიცოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი, რომლის თანახმად, ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

- განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 2000 (ორი ათასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარი.

პირობად განისაზღვროს, რომ:

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნას აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

- შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 90 (ოთხმოცდაათი) დღე. აღნიშნული 90 (ოთხმოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ, აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

- პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, მერიის სამსახურების ანგარიშს 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. კერძოდ, წარმოადგინა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში.

საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად,

- ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების საკითხს.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის** მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და**

ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების საკითხს.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ზედამხედველობის სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების საკითხს.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის** მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის** მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა

და შეფასების საკითხს.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გიორგი ლეჟავამ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების საკითხს.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის** მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის** მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 16 იანვრის N62-622401615 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების საკითხს.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართის შესაბამისად).

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **ადმინისტრაციული სამსახურის მიერ,** 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ''.

საკითხი განხილული იქნა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომაზე. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც გაიმართება 2024 წლის 22 იანვარს. ვინაიდან, ბიუროს სხდომის დღის წესრიგის პირველი შვიდი საკითხი მტკიცდება ბიუროს გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა 10 საკითხით.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2023 წლის 25 დეკემბრის N გ-63.632335917 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. ქალაქ სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (13741.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.49.014) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 განაშენიანების ფართი: 836 კვ.მ; №2 განაშენიანების ფართი: 12 კვ.მ; №3 განაშენიანების ფართი: 1487 კვ.მ; №4 განაშენიანების ფართი: 34 კვ.მ) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტი სამსახურის უფროსი, დ.ბაღდავაძე.

თანამომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და

ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზ.გოგია.

თანამომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ა.თედორაძე.

თანამომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნ.ივანიაძე.

თანამომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, ნ.მანჯგალაძე.

თანამომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ლ.ახობაძე.

თანამომხსენებელი: შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გ. ლეჟავა./

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

/მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბ.გეგეშიძე.

თანამომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ. ტალაბაძე./

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. მ. ტალაბაძე./

11. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2024 წლის

22 იანვარს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი